

მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე

„ 30 “ ივლისი 2018 წელი

შეთანხმების მონაწილეები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #113. ს/კ 424066977), რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანის საჯარო სკოლა (ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარხანი. ს/კ 222719958) დირექტორის რუსუდან ხობიაშვილის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნა.

მუხლი 2.

1. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ, უნივერსიტეტში არსებული აკრედიტებულ მასწავლებელთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებას და გადამზადებას;

გ) უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალიკლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

სკოლა:

ა) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი დაწყებითი განათლების საბაკალავრო, მასწავლებელთა მომზადების მინორ და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო პრაქტიკის მოთხოვნების მიხედვით, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებს უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკით, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს;

ბ) ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნის განხორციელებას.

2 მხარეები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სკოლის პედაგოგების მეშვეობით, მოამზადებენ ერთობლივ სასწავლო და კვლევით პროექტებს.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 6.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თნაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7.

წინამდებარე მორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმის სურვილის გამოთქმამდე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ს/კ 424066977
მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N113

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის
სოფელ ვარხანის საჯარო სკოლა
ს/კ 222719958
ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფ.
ვარხანი

რექტორი:

დირექტორი:

მაკა ბერიძე

რუსუდან ხობიაშვილი

